პარასკევი, 3 აგვისტო 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 169



გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»


„ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი დირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი დირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა დირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.


## „ფუნიკულერის“ რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანოროს ლოტბარობით. (20—193—12)

## ახლად მოწყობილი სტამბა „იდეალი“

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

მიიღება ყოველგვარი საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.

ფასები ზომიერია

ასრულება სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოოზის ქუჩა, № 6. (სტ. 0—10)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდინკო—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

უბლამქაროვი—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

გორადლევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

თეთრამე—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.

ბოგოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

მონზე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

ექიმი ქალი იოხელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

გოროდეცკი—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.

რიდელი—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

პივარსკი კლინიკური ანალიზი.

ჩუდნოვსკი ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—19)

მ ქ ი მ ი

ე. მაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

მ ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

ვანიშა და ვენერიული. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—151)

მ ქ ი მ ი

ვ. ხ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილ. ს 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—8)

ელექტროთერაპიული

## კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—2)

ქუთაისში

ექიმი მაჭიუხოვი.

მიიღებს შინაგან, სიფილისით, ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—59)

შ ო რ ა პ ნ ი ს მ ა ზ რ ი ს

## უფროსი

კაპიტანი მანსვეტოვი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სიები იმ პირთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, დაწერილია და გამოფენილი იქნება 31 ივლისიდან მაზრის სასამართლოში. დაინტერესებულ პირთ უფლება აქვთ ორი კვირის განმავლობაში —31 ივლისიდან შეიტანონ საჩივრები და განცხადებანი სიების ნაკლულევანებათა და შეცდომათა შესახებ საარჩევნო კომისიის სახელზედ ღ. ყვირილაში. (1—6.—1).

ტფ. სამოქალაქო საფეიშლო სკოლის

## უფროსი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ, სკოლაში ვაკანსიის უქონლობის გამო, გარედან მოსიარულე მოსწავლეების მიღება სულ აღარ მოხდება.

განმეორებითი ეგზამენები მოხდება 27 და 28 აგვისტოს; საკონკურსო გამოცდა კი სახაზინო სტიპენდიების შესავსებათ გუბერნიებსა და ოლქებში ამა წლის პირველ სექტემბერს. (3—6.—3)

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების“ (№ 76)

აკაკი

## იგავ-არაკები

კრილოვისა

ახალი, სრული გამოცემა, მრავალი სურათით. წიგნში მოთავსებულია 154 იგავ-არაკი. ფასი 50 კაპ.

იყიდება ყველგან. საწყობი „საზოგადოების“ მაღაზიაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ Об—ва грамотности. (1—4)

ფოთის საბუღალტრო

## კურსები

კ. ბიბილეიშვილისა.

(წელიწადი მეოთხე)

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა იწყება 1 ენკენისთვიდან. მსურველთ პროგრამმები გაეგზავნებათ მუქთად. ერთი წლის და ორი თვის განმავლობაში როგორც კაცი, ისე ქალი ღებულობს კურსებზე საფუძვლიანათ სავაჭრო განათლებას როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს გერმანულ და ინგლისელ სავაჭრო სკოლების სისტემით. (8—6.—1)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი:

## ჩვენი მწერლობა

სალიტერატურო ქრისტომატია საშუალო სასწავლებელთათვის.

ნაწ. I: მგოსნები.

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული

ს. რ. გორგაძის მიერ.

ფასი უყდოთ ათი შაური იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი.

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.

ვინც შემდგენელისაგან ერდროულად ათსა და მეტ ცალს იყიდის, თვითეული წიგნი დაეთმობა ცხრა შაურად. წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით. (10—6.—1)


## ტფილისი, 3 აგვისტო

შეიძლება ბევრმა ჩვენმა მკითხველმა არც კი იცის, რომ პოლონეთის საზოგადოებასა და მოზარდ თაობას ეს რამდენიმე წელიწადია ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული ვარშავაში არსებულ უმაღლეს სასწავლებელთათვის. თავდაპირველად ესეთი ბოიკოტი გამოეცხადა პოლონეთში არსებულ ყველა საშუალო და დაბალ რუსულ სკოლებს, მაგრამ უკანასკნელთ მალე ისევ დაიწყეს მოქმედება და ბოიკოტი დარჩა მხოლოდ უნივერსიტეტისა, პოლიტეხნიკუმისა და საბეითალო ინსტიტუტის შესახებ, რომელნიც უკვე სამი წელიწადია დახურულნი არიან.

მიზეზი ასეთ სასტიკ ღონისძიებისა თავის-თავად ცხადია და ჩვენ, ქართველებსაც, კარგად გვესმის საკუთარ გამოცდილების საშვალებით. რუსეთის ბიუროკრატიის მიერ შექმნილი სკოლა განაპირა ქვეყნებში თავის პირდაპირ საქმესა და დანიშნულებას კი არ ემსახურება, არამედ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მისსიას ასრულებს, სახელდობრ—რუსსიფიკაციის პოლიტიკას უწყობს ხელს. მართალია თვით რუსეთშიაც სკოლა გამსჭვალული არის „პოლიტიკით“; მაგრამ განაპირა ქვეყნებში, არა რუსთა შორის, სკოლა ორნაირ „პოლიტიკურ“ მისსიას ასრულებს,—იმგვარსაც, როგორიც შიდა რუსეთშია, და განსაკუთრებულსაც, რომელსაც მიზნად აქვს გარუსების საქმის გაცხოველება.

განათლებული და კულტურით რუსებზე მაღლა მდგომი პოლონეთის ერი დიდი ხანია მტრულად და ზიზღით უცქერას რუსულს სკოლას, რამდენადაც შესაძლებელი იყო კიდეც გაურბოდა მას; მაგრამ იძულებული იყო ეთმინა, რადგან მთელ რუსეთთან ერთად მაგარის ბორკილებით იყო შებოჭვილი. მხოლოდ რამდენისამე წლის წინად, როცა რუსეთი რუსეთ-იაპონიასთან ომმა დააუძლურა და როცა განმათავისუფლებელ მოძრაობამ შეარყია თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ძალა, პოლონეთმა ერმა გაბედა და პირდაპირი ბრძოლა აუტეხა რუსულ სკოლას. დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით მთავრობამ მოახერხა და საშუალო სკოლები ნახევრად ისევ აამოძრავა; მაგრამ მაღალი სასწავლებლები მაინც ვერ დაიმორჩილა: პოლონელი საზოგადოება და მოსწავლე ახალგაზდობა ისევ მხნედ ადგანან ბოიკოტს და განაგრძობენ ამ სკოლების ნაციონალიზაციის მოთხოვნას...

ასე იყო საქმე დღემდე. ახალგაზდობა არ მიდიოდა ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში და ესენი ძალა უნებურად აღარ მოქმედებდნენ; მთავრობა-კი გაჩუმებული იყო და თითქო ელოდა იმ დროს, როცა პოლონელნი მოიქანცებოდნენ ბოიკოტით. მაგრამ ამ ზაფხულის დამდეგს სურათი გამოიცვალა. როცა სათათბიროს გარეკა გადაწყდა და მთავრობამ მოიწადინა რეაქციონურ რეჟიმის გაძლიერება, შავრაზმელთა ბანაკი ერთხაად აყაყანდა „პოლონელთა თავხედობის“ წინააღმდეგ და მოითხოვა ვარშავის უმაღლეს სასწავლებელთა სრული გაუქმება. მთავრობამაც სისწრაფით ისარგებლა შემთხვევით და გადასწყვიტა ვარშავის უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის გადატანა შიდა რუსეთში. მოახლოვებულ შემოდგომიდან ვარშავის უნივერსიტეტი მოქმედებას იწყებს სარატოვში, ხოლო პოლიტეხნიკუმი—ნოვოჩერკასკში. ბიუროკრატიამ ერთის კალმის მოსმით თავიდან მოაშორა „დაწყევლილი საკითხი“ და პოლონეთს წაართვა უმაღლესი სასწავლებლები...

ამგვარად პოლონეთის ხალხმა წააგო ბრძოლა: დაურჩა ძველი საშუალო და დაბალი სკოლები და თან უმაღლესი სასწავლებლებიც დაჰკარგა. მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიის უბედურება ისაა, რომ ეს მისი გამარჯვება წმინდა გარეგნულია და ფუქსავატი. ზნეობრივი გამარჯვება სავსებით პოლონელთა მხარეზეა, რადგან მათ დაამტკიცეს, რომ გარეშე ეროვნულ სკოლისა სხვა არ უნდათ და, როცა შემთხვევა დაუდგებათ, გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობენ ბრძოლას; მანამდის კი ყოველის ძალღონით შეეცდებიან საკუთარ კერძო სკოლებითა და საზღვარ-გარეთის სასწავლებლებით ისარგებლონ უხვად. ასეთი მოძრაობა უკვე სწარმოებს: პოლონეთის „მატიცამ“ მოჰფინა ქვეყანა დაბალ სკოლებით. არსდება მრავალი კერძო საშუალო სასწავლებლები, მოზარდი ახალგაზდობა ათასობით მიდის ავსტრიასა და გერმანიაში მაღალ სწავლის შესაძენად... სწავლის მხრით პოლონელნი მოიგებენ, ხოლო „პოლიტიკის“ მხრით რუსეთის მთავრობა წააგებს, რადგან თავისუფალ საკუთარ სკოლებში და საზღვარ-გარედ აღზრდილი ახალგაზდობა უფრო დაშორდება რუსეთის გავლენას და პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობა უფრო მეტად გამწვავდება.

როგორც ყველაფერში, ისე ამ საქმეშიაც რუსეთის ბიუროკრატია შეუწყნარებელის სიბრმავით დაუჯილდოვებია განგებას და ყოველი მისი ნაბიჯი თითქო განზრახ და განგებ სჭრის თვით იმ ხეს, რომელზედაც ისტორიას შეუსკუპებია.

## ახალი ამბავი

✦ **მატარებელზე თავდასხმა.** 1 აგვისტოს გომისა და ხაშურის სადგურებს შუა რამდენიმე ყუმბარებითა და თოფებით შეიარაღებული კაცი თავს დასცემია ტფილისიდან ბათუმისაკენ მიმავალ მატარებელს. ნაშუადღევის 1 საათზე ტფილისიდან გასულა სახალხო მატარებელი. ამ მატარებელს ბმია განსაკუთრებული ვაგონი, რომლითაც კარგა ძალი ფული მიჰქონებია რკინის გზის მეარტელეს სადგურებზე მოხელეთათვის ჯამაგირების დასარიგებლად. ეტყობა თავდამცემთ ეს ამბავი სცოდნიათ. როგორც-კი მატარებელი გომის სადგურს გასცილებია, შეიარაღებულ უცნობებს სამი ყუმბარა ზედიზედ უსროლიათ მატარებლის იმ ვაგონისათვის, რომელშიაც მეარტელე ყოფილა. მეარტელეს ჰხლებია რამდენიმე დარაჯი, რომელთაც სროლით უპასუხნიათ. თავდამცემთ ყუმბარების შემდეგ აუტეხნიათ სროლა. იმასა სცდილობდნენ თურმე, რომ რამენაირათ მატარებელი გაეჩერებინათ. როგორც ეტყობა, ყუმბარებს მატარებლისთვის ზიანი ვერ მიუყენებია. მემანქანეს მატარებელი არ გაუჩერებია და სწრაფად ხაშურის სადგურზე ასულა. აქ ყაზახებსა და დარაჯებისთვის უცნობებით და მდევარნი გაუყენებიათ.

✦ **დარჩენილი გადასახადები.** როგორც ტფ. სახაზინო პალატის ცნობებიდანა სჩანს, ამა წლის 1 აპრილისათვის სამრეწველო გადასახადის ფული დარჩენილი ყოფილა სავაჭრო დაწესებულებებზე 200,564 მან. ამის შესახებ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, მიწერილებანი დაეგზავნა მაზრის უფროსებს. მიწერილობაში ნათქვამია, რომ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს ამ უკანასკნელ ორ წელიწადს კარგი დრო დაადგათ და პირობები ხელს უწყობდა ვაჭრობა-მრეწველობა გაეძლიერებინათ. მათ შეეძლოთ გადასახადები დროზე შეეტანათ ხაზინაში. ალბად ვაჭარ-მრეწველნი ჰხედავენ, რომ პოლიციის მოხელენი სხვა საქმეებით არიან დატვირთულნი და მათვის ვერ იცლიან, ამით სარგებლობენ და დროზე ფული არ შემოაქვთო. მაზრის უფროსებსა და ტფ. პოლიციმეისტერს დაევალათ, ყოველივე ღონისძიება იხმარონ დარჩენილ გადასახადების მოსაკრებად.

✦ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „ჩვენი მწერლობა“ (სალიტერატურო ქრისტომატია) ნაწილი პირველი, მგოსნები ბიოგრაფიით და ლექსიკონით „შედგენილ-გამოცემული ს. რ. გორგაძის მიერ. წიგნი დაბეჭდილია „ძმობის“ სტამბაში და ღირს ათ შაურად.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნებიან: სიღნაღის მაზრის მცხოვრები ვასილ ფაჩულია და ტფილისის მაზრის მცხოვრები კონსტ. უნაფქოშვილი—ბრალდებათ მუქარის წერილებით ფულის დატყუება; რაჭველი ნიკოლოზ გოგობერაშვილი და საგარეჯოელი შაქრო ბუზიაშვილი—აღმოაჩნდათ რევოლვერები; კახელნი ივანე ხარებაშვილი, ილია ბებურაშვილი, ლევან ბექტაშვილი და მედავითნე რაჟდენ ბერიაშვილი—ჰბრალდებათ პროპაგანდა გლეხებს შორის, აგრეთვე ფულის მოგროვება და ავაზაკთა დაფარვა. ამავე გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნება გეურქ გობაჩევი, რომელსაც ჰბრალდება ტრამვაის ქვეშ პეტარდის ჩაგდება. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება: იოსებ ჭოჭლაშვილს და ვიქ. მოხნაჩევს. პოლიციის მოთხოვნილების არ ასრულებისთვის ორი თვით დაპატიმრება მიესაჯა დუშეთის მაზრელს შაქრო ბედოშვილს.

✦ **დირექტორის მკვლელნი.** პოლიციამ 26 ივლისს დააპატიმრა სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი პ. პოპოვი და ი. კესინოვი, რომელთაც სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის ვ. ი. პობედიმოვის მოკვლა (4 ივნისს) ბრალდებათ. დაპატიმრებულნი უარს ჰყოფენ პობედიმოვის მოკვლაში რაიმე

მონაწილეობის მიღებას. პოლიციის ცნობებით, გადაცვლების წინ [illegible] ყაჩაღებზე მიუთითებენ.

✦ **მოწერილობა.** კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ ცირკულიარული მოწერილობანი დაუგზავნა გუბერნატორებს და ოლქების უფროსებს, მოსთხოვონ მაზრის უფროსებს, [illegible]

✦ **სიების შედგენა.** ტფ. ქალაქის გამგეობას სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიების [illegible] 14 [illegible] 21 [illegible] 4 საათის მუშაობისათვის.

✦ **ბილეთები** მე-10 წლიდან თავის ბინაზე [illegible]

✦ 1 აგვისტოს [illegible]

✦ სარკინიგზო სახელოსნოებში [illegible]

✦ 31 ივლისს [illegible]

✦ [illegible] 100 მან. [illegible]

## დეპეშა

(საგუბერნიო კორესპონდენციიდან)

**ბათუმი.** [illegible] სახოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ექიმი გრიგოლ ვოლსკი. დაჭრილმა ორ აგვისტოს დილით საშინელს ტანჯვაში დალია სული.

## პრესა

—:—

კადეტების ოფიციოზს მოუცლია და კანონიერებას იცავს. მთავრობა უკანონოდ იქცევა, განსაკუთრებულ დაცვის წესებით სარგებლობს საქმეში, დიდის ამბით გვიმტკიცებს გაზეთი:

1881 წლის 14 აგვისტოს დებულება საზოგადოებრივ მშვიდობიანობის და სახელმწიფო წესრიგის დაცვის შესახებ გამოცემული იყო და მოქმედებდა როგორც დროებითი კანონი. იგი ძალაში იყო მხოლოდ სამის წლის ვადით და როცა ეს ვადა თავდებოდა, მინისტრთა კომიტეტს ხელახლავ უნდა გამოეთხოვა უმაღლესი ბრძანება დებულების მოქმედების განგრძობისათვის ისევ სამის წლით. მაგრამ 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ და ახალ ძირითად კანონების მიხედვით სრულებით შეიცვალა წესი კანონების გამოცემისა. არავითარს კანონს ძალა არა აქვს, თუ მას სახ. საბჭო და სახ. სათათბირო არ მოიწონებენ. დროებით კანონს ძალა ეკარგება, როცა დადებული ვადა თავდება. გაძლიერებულ დაცვის წესებსაც შარშან 4 სექტემბერს დაეკარგათ ძალა, რადგან სამი წლის ვადა შეუსრულდათ. მაშინ მთავრობას არ ჰქონდა ნება წინანდელის წესით გამოეთხოვა ხელმწიფე იმპერატორისათვის ახალი ვადა, არამედ ან სათათბიროსთვის უნდა მიემართნა ან ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით უნდა გამოეცხადებინა ახალი კანონი და სათათბიროს მოწვევის შემდეგ უნდა წარედგინა მისთვის დასამტკიცებლად ორის თვის განმავლობაში. მთავრობამ ეს გზა არ ინება და ამიტომ ცხადია, რომ დღეს უკანონოდ სარგებლობს განსაკუთრებულის დაცვის წესებით.

„რეჩ"-ის ეს წმინდა განყენებული სჯა კრილოვის ერთ ცნობილ იგავს გვაგონებს: მზარეული კატას უჯავრდება და ჭკუას არიგებს—ნუ ხარ ხარბი და გაუმაძღარიო; კატაც გულმოდგინეთ ყურს უგდებს და... ხარბათ განაგრძობს ჭამას.

* *
*

პეტერბურგში მუშების პატარა წრეს პარტიის ბობოლების ნება დაურთველად მოწოდება დაუბეჭდია, საჭიროა მუშები კოოპერატიულ ნიადაგზე შეკავშირდნენო. პარტიას ეს ამბავი არ მოსწონებია და მოწოდების ავტორებისათვის დარიგება მიუცია. ამის გამო ერთი მუშათაგანი სწერს „ტოვ."-ში:

„ამის გამო „ჟიზნ ჰ [illegible]"-ში გამოსჭიმეს უშველებელი ნოტაცია, სადაც უცნობი ძმა, ოქროს [illegible] სათვალეებითა და ყალბ ციფირებით, მამაშვილურად გვარიგებს:

— ეგრე, ჩემო პატარებო, არ შეიძლება. თქვენ თქვენს თავსაც ატყუებთ, ამხანაგებსაც გზა-კვალს ურევთ და ალმზრდელებსაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ. აბა ვინ გითხრათ, რომ კოოპერაციას თქვენი შველა შეუძლიანო. ტყუილია, ჩემო პატარებო, არ დაუჯეროთ. კავშირი—აი თქვენი ბურჯი. მაგრამ კავშირს ისევ მუშათა პარტია სჯობია, რომელიც ჩვენ დანარჩენ პროლეტარებთან ერთ ამხანაგურ ოჯახად გვადუღებს, ანგრევს ჩვენ შორის არსებულს კედლებს, აღვიძებს ჩვენს გონებას და სხ.

ამაზე გაჯავრებული მუშა კითხულობს:

„მუშათა პარტია აღვიძებს ჩვენს გონებას? როგორ არა! ვიცით, როგორც გაუღვიძა გონება ლოძელ ამხანაგებს, რომელნიც აგერ ერთი წელიწადია, რაც ერთმანეთს მუცლებს უღადრავენ და ამხანაგურ ხელის ჩამორთმევის მაგივრად ერთმანეთს ტყვიით უმასპინძლდებიან. ეს არის „ამხანაგური" ოჯახი? ან იქნება ასეთ „გაუგებრობას" ოჯახური კინკლაობა ჰქვიან?

ჩვენვე ვიცით, ჩვენო დედილო, რომ ახალი ჰაერი გვჭირია, რომ ეხლანდელი ჰაერი გულს გვიღონებს და სულს გვიხუთავს და რომ ეხლანდელ სალორეს ახალი ამირანი სჭირია; მაგრამ რა ხეირი უნდა გამოვიდეს იმ პარტიიდან, რომლის შტაბ-ოფიცრები მტერთან ბრძოლის მაგივრად ერთმანეთს ნეკნებს უმტვრევენ?

ავადმყოფის საწოლთან შველის მაგივრად თქვენ დაუსრულებელი კამათი გაგაბით, რა მივცეთ განთავისუფლებულ პროლეტარიატს, „სრული უფლება" თუ „თანასწორობაო". ძალაუნებურად მაგონდება ის უბედური, რომელიც შიმშილით მოკვდა, ექიმები კი მომაკვდავის გვერდით იდგნენ და კამათობდნენ, მესამე თავი სადილად რა მივცეთო.

ძალიან კარგად არის ნათქვამი თქვენ წერილში: „ისე უნდა ვიყოთ შეკავშირებული, რომ ყველა ჩვენი ორგანიზაციები ერთად ცხოვრობდნენ და მაჯაც ერთნაირად უცემდეთო."

დიდებული სიტყვაა! სწორედ რომ ეგრე უნდა ყოფილიყო და ეგრეც იქნებოდა, რომ „ბოლშევიკს" ალთას არ გაეწია და „მენშევიკს" ბალთას.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, სხვათა შორის, ერთი პატარა და მშვენიერი დარიგება მოგცეთ: „ექიმო, შენი თავი მოირჩინე!"

## მუშების ცხოვრება

**ქრონიკა მუშათა მოძრაობისა უცხოეთში.**

**შვეიცარია.** უტყუარად უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, რომ რომანული შვეიცარია (Романская Швейцарія) მუშათა მოძრაობის მხრივ საფრანგეთის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამას ხელს უწყობს უმთავრესად ერთის მხრივ გეოგრაფიული მდებარეობა, ესე იგი სიახლოვე საფრანგეთზე, ხოლო მეორეს მხრივ ენა: შვეიცარიის ამ ნაწილში მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობენ. ამიტომაც არის, რომ აქაურ მუშათა მოძრაობას საზოგადოდ საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ელფერი და ფორმა ადევს. ამითვე აიხსნება ისიც, რომ აქ ამ უკანასკნელ 6—7 წლის განმავლობაში მაგრად მოიკიდა ფეხი რევოლიუციონურმა სინდიკალიზმა, რომელსა თავისი საკუთარი ორგანო აქვს ქ. ლოზანში, სახელად „La voix du peuple". არსებობს აგრეთვე მთელი ორგანიზაცია: „რომანულ შვეიცარიის შეერთებულ მუშების ფედერაცია", რომლის ცენტრალური ორგანოც „La voix du peuple"-ია. ამნაირად, უკვე რამდენიმე წელიწადია დაიწყო მუშათა ძლიერი მოძრაობა რომანულ შვეიცარიაში. ჩვენ ამის ისტორიის წერას, რასაკვირველია, არ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ უკანასკნელ თვეებში მომხდარ ამბებს.

მარტის (1907 წ.) ბოლო რიცხვებში მოხდა დიდი საყოველთაო გაფიცვა რომანულ შვეიცარიაში. შვეიცარია განთქმულია შოკოლადის ფაბრიკებით. აქაური შოკოლადი საუკეთესოდ ითვლება მთელს დედამიწაზე. ამასთან აქ არც ერთ ხელობის მუშის ქირა არ არის ისეთი მცირე, როგორიც შოკოლადზე მომუშავეთა ქირაა. ეს უმთავრესად შემდეგის მიზეზებით აიხსნება: შოკოლადის ფაბრიკებში მუშაობს ბევრი მუშა ქალი, რომელნიც, საზოგადოდ, ყველგან და ყოველთვის ნაკლებ ქირას იღებენ. ამას გარდა დღემდე შოკოლადზე მომუშავეთ მჭიდრო კავშირები და ორგანიზაციები არა ჰქონდათ ქარხნების პატრონებთან საბრძოლველად. გაჭირვებისაგან უკიდურეს მდგომარეობამდე მისულმა შოკოლადის მუშებმა წარუდგინეს პატრონებს მოთხოვნილებანი, ხოლო როდესაც უარი მიიღეს, გაფიცვა გამოაცხადეს.

გაფიცვა დაიწყო ვოს კანტონში, დაბა ორბში. იქიდან გადავიდა მეორე დაბაში—ბუსსინიში, ხოლო ამ უკანასკნელიდან—ქალაქ ვევეში (ამ ადგილებშია შოკოლადის დიდი ფირმა პიტერ-კოლერი). 25 მარტს დილით მუშები ქუჩებში გამოვიდნენ და გაავრცელეს დაბეჭდილი მოწოდებანი ყველა მუშებისადმი; მოწოდებამ გასჭრა: სხვა და სხვა დარგში მომუშავეებმაც მხარი დაუჭირეს და მუშაობაზე ხელი აიღეს. გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. გაიმართა მიტინგები. მთავრობამ, რასაკვირველია, ზომები მიიღო, თუმცა აქ მილიციაა, მაგრამ ჯარი რამოდენიმე საათში გაჩნდა. ქ. ვევეში მოხდა შეტაკება, რამდენიმე მუშა სასიკვდილოდ დაიჭრა, რამდენიმეც მსუბუქად, ბევრი შეიპყრეს. ყველა ეს მოხდა 25 და 26 მარტს ვოსს კანტონის მხოლოდ ერთს ნაწილში. როდესაც ეს ამბავი სხვა ქალაქის მუშათა ორგანიზაციებმა გაიგეს, სწრაფად გამართეს კრებები და გამოაცხადეს ეგრეთ წოდებულ სოლიდარობის საყოველთაო გაფიცვა. ამნაირად, გაფიცვა მოედო თითქმის მთელ რომანულ შვეიცარიას. მალე გაფიცულ ქალაქებს სხვებიც მიემატნენ—ლოზანა, მონტრო, ჟენევა, ნეუშატელი, შოდეფონდი და მრავალი პატარა დაბა, სადაც რისამე ფაბრიკა ან ქარხანა იყო.

მთავრობამ [illegible] სცადა ძალით ჩაქრობა, მოახდინა მობილიზაცია ჯარისა და პოლიციისა, [illegible] მუშათა ფედერაციის სტამბა ქ. ლოზანში, რომ მუშებს მოწოდებები არ დაებეჭდათ; [illegible] აწყობილი ნომერი გაზეთისა, გამოაცხადა სამხედრო წესები, აკძალა ყოველ გვარი კრება მუშებისა, საღამოობით ქუჩაში გამოსვლა; დანიშნა ღამ-ღამობით ქუჩებში პატრულები და სხვა. მაგრამ ყველა ამის და მიუხედავად მუშებმა ქედი არ მოიხარეს და გამართეს მანიფესტაციები; ბევრი შეიპყრეს და დაპატიმრეს. ქ. ლოზანაში რუსეთის ორი ქვეშევრდომიც-კი შეიპყრეს, რომელნიც შემდეგ კანტონიდან გაძევეს (ერთი ქართველი იყო). ერთი ქართველი ჟენევაშიაც შეიპყრეს მანიფესტაციის დროს.

გავიდა ორი-სამი დღე, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. მთავრობამ დაინახა, რომ იგი თავის ძალ-ღონით ვერას გააწყობდა, ამიტომ შოკოლადის ფაბრიკის პატრონნი იძულებულნი გახდა დაეკმაყოფილებინათ მუშები. მართლაც, ამის შემდეგ მუშების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს; გაადიდეს დღიური ქირა, შეამცირეს სამუშაო დღე და მიიღეს ნებართვა სინდიკატისა. ამასთან მიიღეს ის პირობაც, რომ არ დაითხოვონ არც ერთი მუშა, რომელიც მონაწილეობას იღებდა საყოველთაო გაფიცვაში და გაანთავისუფლონ ისინი, რომელნიც შეიპყრეს გაფიცვის დროს.

ამ ნაირად, 1907 წლის მარტის საყოველთაო გაფიცვა მუშების გამარჯვებით გათავდა და შვეიცარიის მშრომელმა ხალხმა დაუმტკიცა ყველას, რა ძლიერია საყოველთაო გაფიცვა, როგორც სახსარი და მასთან პრინციპი სოლიდარობისა. ამას შემდეგ შვეიცარიაში მუშათა დიდი მოძრაობა და მანიფესტაციები თითქმის აღარ მომხდარა. რაც შეეხება წლევანდელ პირველ მაისის მანიფესტაციებს, ამაზე არას ვიტყვით, რადგან ამ მანიფესტაციებსა და დღესასწაულს არც მუშური და არც რევოლიუციონური არა ეცხო რა. მას სოც.-დემოკრატიული და ოპორტუნისტული ხასიათი ჰქონდა. ეხლა დიდად საყურადღებო არა ხდება რა შვეიცარიაში. არის მხოლოდ პატარ პატარა გაფიცვები. მაგალითად, სამ კვირაზე მეტია უკვე გაიფიცნენ ხელზე მომუშავენი ბიენსა, ვალდეტრავერსა, მონტროსა და ობერჰოფენში. მოთხოვნილებებს ეკონომიური ხასიათი აქვს. როგორც სამუშაოს პატრონნი, ისე მუშები ჯერჯერობით უძლებენ გაფიცვას.

---

## ფელეტონი

### კამათი ეროვნულ საკითხის შესახებ ბრიუნის კონგრესზე

(შემდეგი *)

სიტყვა ეკუთვნის დელეგატს **დაშინსკის.** ამხანაგებო! აქ ლაპარაკი აღარ არის იმის შესახებ, დავკმაყოფილდებით თუ არა ერთა თანასწორობის აღიარებით. აქ ისიც კი სთქვეს, რომ ბურჟუაზიულ პარტიების ინტერესების დასაცავად ჩვენ თავის მტვრევა არ შეგვფერისო. ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის საჭიროება ცხადად დავინახეთ პარლამენტში, სადაც ჩვენ, სოც.-დემოკრატი დეპუტატები ყველა ეროვნებისა იძულებული ვიყავით ენის შესახებ ამტყდარ კამათში ჩავრეულიყავით. მაშინ ყველამ გადავწყვიტეთ და ვთქვით: დიახ, საჭიროა საქმეში ჩარევა, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ უნდა ვთქვათ არც მეტი და არც ნაკლები, რადგან არ ვიცით, რას იტყვის ამაზე პარტია. გარდა ამისა თვითონ სახელმწიფოს მდგომარეობა გვაიძულებს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას. ჩვენ რომ ამ საკითხს მხარი ავუქციოთ, სხვები მოჰკიდებენ მას ხელს და აკი მოჰკიდეს კიდეც. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენ გარკვეული პოზიცია უნდა დავიჭიროთ. აქ, ამ ბრძოლაში უნდა გადაწყდეს საზოგადოებრივ ურთიერთობის მომავალი მდგომარეობა, ასეთ დროს კი ჩვენ განზე გადგომა არ შეგვიძლიან. პროლეტარიატის წინაშე მოვალე ვართ, რომ საკითხი საზოგადო ფრაზებით კი არ გადავაფუჩეჩოთ, არამედ პროგრამა უნდა შევიმუშავოთ. პარტიის ზნეობრივი მოვალეობა და მისი ყოველდღიური მოქმედება გვავალებს ნათლად გამოვარკვიოთ, თუ როგორ აპირობს პარტია ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას. ავსტრიაში არიან ისეთი ერები, მაგალითად რუსინები გალიციაში, ან პოლონელები სილეზიაში, რომელნიც ცერად უცქერიან სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის გავრცელებულია ისეთი აზრი, ვითომ სოც.-დემოკრატები ეროვნულ საკითხს გულგრილად უცქერიან და არავითარ გარკვეულ პასუხს არ იძლევიანო. ამ კრებაზე სთქვეს, რომ არ არსებობს ისეთი ეროვნული საკითხი, რომელსაც სარჩულად ეკონომიკა არ ედოსო. თუ ეს მართალია, მაშ ჩვენ ორი წლის წინად დიდი შეცდომა ჩაგვიდენია, რადგან პარტიული ორგანიზაცია ეროვნულ პრინციპზე ავაშენეთ. ნამდვილად კი ვერავინ იტყვის, რომ ის ნაბიჯი შეცდარი ყოფილიყო. პირიქით, ჩეხები, პოლონელები და გერმანელებიც ერთხმად ირწმუნებიან, რომ პარტიის დაყოფამ ეროვნულ პრინციპით პარტია ხალხის ცხოვრების შუა გულში შეიყვანაო. ჩვენ მოვალენი ვართ, ეროვნულ თავისუფლებას ანგარიში გავუწიოთ; ჩვენ მხოლოდ იმიტომ გავძლიერდით, რომ ანგარიში გავუწიეთ მას და აგერ ორი წელიწადია, რაც საკმაოდ მოვემზადეთ ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად შიგ პარტიაში. საქმე იმაში არ არის, შეგვიძლიან თუ არა, ან მოვალენი ვართ თუ არა მთელ სახელმწიფოსთვის პროგრამა შევიმუშავოთ. ამ ქამად პროვინციებში მთელი ერები ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ. გალიციაში ცხოვრობს $2\frac{1}{2}$ მილიონი რუსინი, რომელნიც გალიციის პროვინციის შედგენის შემდეგ ყოველთვის უმცირესობას შეადგენენ. ბოჰემიაში ცხოვრობს $1\frac{1}{2}$ მილიონი გერმანელი, რომელნიც აგრეთვე მუდმივ უმცირესობას შეადგენენ. ასეთი მდგომარეობა, როცა მთელი ეროვნება მუდმივ უმცირესობას შეადგენს, აიძულებს მათ მედგარი ბრძოლა გაუმართონ არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. თუ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დიდ ერებს მაინც უნდა ჰქონდეთ ავტონომიურად ცხოვრების უფლებაო, ამით მცირე ერებს სრულიად დავუკარგავთ იმედს. ყველა ერს თავისი ბუდე და თავშესაფარი უნდა ჰქონდეს. ეროვნული კითხვა რამდენიმე სკოლისა, მოხელესი, სტიპენდიისა და თეატრის გარშემო ტრიალებს. ბოჰემიისა, სილეზიისა და გალიციის სეიმის კანონმდებლობა რომ გადავათვალიეროთ, ნათლად დავინახავთ, რომ ეროვნულ უმცირესობას გერმანელებისა, რუსინებისა და პოლონელებისა ეშინიათ, ჩვენი შესახები საქმეები სამართლიანად არ გადაწყდებაო. ამხანაგი ნემეცი კითხულობს, ვინ გადაიხდის ამ ხარჯსაო? მე თვითონ ვკითხავ მას, ვინ იხდის ხარჯს ეხლა? აღმოსავლეთ გალიციაში პოლონელთა კულტურას თავის ხარჯით ინახავს სამი მილიონი რუსინი; აღმოსავლეთ სილეზიაში 180000 პოლონელი ინახავს 42000 გერმანელისთვის ყველა კულტურულ დაწესებულებას; მორავიაში 70% ჩეხი 30% გერმანელის კულტურის ნახევარს ინახავს. $2\frac{1}{2}$ მილიონ რუსინს არც ერთი უნივერსიტეტი არა აქვს; პოლონელებს კი ორი უნივერსიტეტი აქვთ; რუსინებს მხოლოდ 4 გიმნაზია აქვთ, პოლონელებს კი 25; სილეზიაში გერმანელებს 4 გიმნაზია აქვთ, პოლონელებს კი არც ერთი, თუმცა ტეშენის სამთავროში პოლონელი ოთხჯერ მეტია გერმანელზე. სწორედ მარქსის თვალსაზრისით ასეთი წყობილება შეუძლებელია (ადლერი: „ეგ მარქსი კი არა, ბულალტერია გახლავთ!"). ეროვნული უმცირესობა ყოველ შემთხვევას ისე ებღაუჭება, როგორც წყალწაღებული ხავს. ამიტომ არის, რომ ეროვნული პარტიები ხშირად ბუნების საწინააღმდეგო წესით უკავშირდებიან ერთმანეთს. რუსინები უერთდებიან თავიანთ ძოსისხლე მტრებს, რომელთაც თავიანთი თავი აღმოსავლეთის მხსნელი ჰგონიათ. ასეთი მაგალითები იმიტომ ხდება, რომ ერები საშინელ ეროვნულ ჩაგვრას გრძნობენ და იძულებული არიან იბრძოლონ ისე, რომ გონიერებასაც კი კი ივიწყებენ. რისგან ხდება, რომ ბურჟუაზია უერთდება ფეოდალებს, კლერიკალებსა და სხ...? რისგან მოხდა, რომ ავსტრიის პარლამენტში ჯერაც არავის უცდია პარტიების ორგანიზაცია კლასსიურ ნიადაგზე? იმ დროიდან, რა დროსაც სოც.-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხის მნიშვნელობა შეიგნო და დაიწყო ერთა ეროვნულ საჭიროების დაკმაყოფილება, ჩვენ მოვახერხეთ და პარლამენტში ყველა ერებისგან კლასიურ ნიადაგზე აშენებული პარტია შევადგინეთ. ვერც ერთი სხვა პარტია ვერ მოახერხებდა ამას, რადგან ისინი ემყარებიან ისტორიულ პროგრამებზე, რომელთა განხორციელება შეუძლებელია თანამედროვე პირობებში.

საითაც მიიხედავთ, უეჭველად დაინახავთ, რომ **ყოველი ეროვნება ცდილობს საკუთარ სახელმწიფოს დაარსებას.** შეხედეთ გერმანიაში დანიელებს; შეხედეთ ელზას-ლოტარინგიას, როგორ ეკვრიან საფრანგეთს; შეხედეთ გერმანიის პოლონელებს და ჰკითხეთ ამ ერებს, როგორ გრძნობენ თავიანთ თავს; ერთ გერმანიის შექმნა კი ისტორიული აუცილებლობა იყო. შეხედეთ აგრეთვე ნორვეგიას, იტალიას და ყოველგან ერთ და იმავე ტენდენციას დაინახავთ: ერებს უნდათ ეროვნულ ჩაგვრას თავი დააღწიონ და განთავისუფლდნენ. მაგრამ არც ერთ ერს არ შეუძლიან განთავისუფლება და მჭიდროდ შეკავშირება, თუ მას საძირკვლად დემოკრატიზაცია არ დაედო.

ბისმარკმა რომ განიზრახა გერმანიის გაერთიანება, ის იძულებული იყო დემოკრატიის მოთხოვნისთვის დაეთმო და შეერთებულ გერმანიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოეღო. ვერც ავსტრია აიცილებს ამას თავიდან. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენთვის საჭიროა საყოველთაო საარჩევნო უფლება; ისიც ვიცით, რომ მის მოსაპოვებლად ბრძოლის ველზე უნდა გამოვიდნენ ყველა ერები და საზოგადოებრივი ჯგუფები. ჩვენ უნდა შევადგინოთ ის ძალა, რომელმაც ეს უფლება უნდა დაიპყროს. ყველა ეს ერთად აღებული მხოლოდ ნაწილია უშველებელ დემოკრატიულ

*) იხ. „ისარი" № 158.

ამ დღეებში მოხდა კონგრესი მუშათა ფედერაციისა შოდეფონდში, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

**ვ. დ.**

## პატარა ფელეტონი

### სიცილი.

ადამიანი, სხვათა შორის, იმით განსხვავდება უბრალო ცხოველისაგან, რომ ბუნებით სიცილის უნარი მოსდგამს. აბა თუ გინახავთ ოდესმე მომცინარე კატა, ძაღლი, ცხენი, მგელი ან დათვი. სიცილი—ადამიანის სიცოცხლის შნო, იმისი ცხოვრების განმაახლებელი ძვირფასი თვისებაა. რაც უნდა მქისე გუნებაზე, იყო რაც უნდა მძიმე დარდი გაწვეთ გულზე, თუ კი ვინმე მოსწრებული სიტყვით გაგაცინებთ, რაღაც იდუმალ განახლებას გრძნობთ: სიცილი გაზაფხულის სიოსავით ეფინება სევდით დანისლულ ადამიანის სულს, ჯანღს ჰფანტავს და სულის სიღრმეში წმინდა ცხოვრები წყალს აჩენს.

პირ-მცინარე კაცს გულ-კეთილ ადამიანს უძახიან. ვისაც პირი უცინის—სინიდისი წმინდა ჰქვს, რადგან არა მარტო თვალები, არამედ ადამიანის მთელი სახე—იმისი სულის სარკეა და ამ სულის შინაგან ვითარებას ნათლად გამოხატავს.

ყველამ კარგად ვიცით, როგორ გულიანად და ხშირად თითქო სრულიად უმიზეზოდ იცინიან ბავშვები. მათი ანკარა სიცილი წმინდა გულიდან გადმომჩქეფარე ცხოვრების წყალია, რომელიც მშობლებსა და მახლობლებს სიამეს ჰფენს და მთელ ოჯახს ადამიანურ შნოს აძლევს. ტყუილად კი არ მიიზიდა ქრისტემ თავისთან ბავშვები და უთხრა მოწაფეებს, ნუ დაუშლით ამათ ჩემთან სიარულს, რადგან ღვთის სასუფეველი ამათი არისო. იმავე ქრისტემ სთქვა, რომ სასუფეველი ღვთისა ჩვენ შინა არს, ე. ი. ადამიანის კეთილ გულსა და წმინდა სინიდისშია დაცულიო.

„ბრუტოსის სახეზე ღიმილი გამქრალია. იგი ყველას ერიდება და მარტო დადის; თვალებზე ვატყობ, რომ რაღაც არა სასიკეთო განუზრახავს“,—ამბობს შექსპირის ცნობილ დრამაში იულიოს კიესარი. სიცილი, ღიმ-მორეული შუქი, მხოლოდ გულით წმინდათა ჯილდოა და ყველა მოძალადეებს გაურბის, არაფერი აქვს მათთან საერთო. აბა თუ ნახავთ ოდესმე პირმცინარ, მძლავრ პოლიციელს, ძალით მოსილ მოხელეს ან ადმინისტრატორს. მათმა ხელობამ, თვის მოძმეთა დევნა-შევიწროებამ დაახშო იმათ გულში სიცილის ანკარა წყარო და სახეზე მათი სასტიკი ხელობის დაღი დაასვა. ნუ თუ მსუქანი ქრთამი და ჯამაგირი უზღავს იმათ ადამიანის სულის ძვირფასს, მათგან დაკარგულ თვისებას? ყველა მოძალადეს სახე—თითქო მოძრავი სამარეა ზედ წარწერით: „აქ განისვენებს სახელმწიფო თანამდებობით დახშული ოდესმე ცოცხალი ადამიანის სული“.

თვალი გადაავლეთ ახლა იმ მწერლების ნაწერებს, სადაც ალაგ-ალაგ საყვარელი ჰუმორის, ღიმ-მორეული ფიქრის წყაროები ჩუხჩუხებს. როგორ შეახალისებს ხოლმე მათი სიო მკითხველს, როგორ შეაყვარებს ავტორს, რომელიც ამ ადამიანურ კეთილ თვისებით უფრო განამტკიცებს ცოცხალ კავშირს თვისა და მკითხველთა შორის, უფრო ღრმად აღუბეჭდავს სულში თავის ფიქრთა დენას. მსოფლიო მწერლებს სიცილის უნარი მეტ ღირსებას აძლევს. ტყუილად კი არა სთქვა პოეტმა—„ღრმა აზრიან მწერლების ნაწერებში სიცილი—უძირო ოკეანეს ზედა-პირზე პაწია ტალღების საყვარელ ციმციმს უდრისო“.

როცა საზოგადოება შეიყრება და ყველა თავს უხერხულად ჰგრძნობს, ყველას ენა დაბმული აქვს და საერთო ლაპარაკი არ ხერხდება, საკმაოა ერთი ვინმე გამოჩნდეს მათ შორის ენა-მოსწრებული და მხიარული ოხუნჯობით მჩქეფარე ადამიანი, რათა ყველა დამსწრენი გაამხიარულოს და სალაპარაკოდ შეახალისოს. თავისუფლად მიმოჰქრის მაშინ მათ შორის ფრთოსანი სიტყვა-პასუხი, იოტის წამისად ქრება უხერხული დაღვრემილობა, ყველანი უახლოვდებიან და თავისუფლად ესაუბრებიან ერთმანეთს, რადგან კეთილი სიცილი—ადამიანთა არსებითად საერთო ბუნების გამომხატველი და ძმური კავშირის მთესავია მათ შორის.

**ი. ნაკაშიძე.**

## გრიგოლ ვოლსკი

როგორც კერძო დეპეშით გვატყობინებენ, პირველ აგვისტოს ბათუმში საზიზღარი საქმე ჩაუდენიათ: ვერაგულად მოუკლავთ უდანაშაულო და უანგარო ადამიანი, მთელ ქართველობაში კარგად ცნობილი ექიმი გრიგოლ ვოლსკი. ცხოვრების ნაძირალებმა არ იკმარეს ის, რაც აქამდე ჩაიდინეს და ერთი ადამიანი და მოღვაწე კიდევ იმსხვერპლეს. ვინც ვოლსკის იცნობდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ მას კერძო, პირადი მტრები არა ჰყავდა, ამიტომ ის საზიზღარი მკვლელობა, ეჭვი არ არის, სულ სხვა ნიადაგზე უნდა იყოს ჩადენილი. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, მკვლელი თუ მკვლელნი მიმალულან.

ვოლსკის თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართულ საზოგადოების და ლიტერატურის წინაშე. იგი ცნობილია როგორც პოეტი (ფსევდონიმი უმწიფარიძე), პუბლიცისტი და მთარგმნელი. კარგა ხანია განსვენებული პრაქტიკულ მოღვაწეობას შეუდგა ბათუმის ქალაქის თვითმმართველობაში, სადაც იგი რამდენსამე წელიწადს ქალაქის გამგეობის წევრად იყო. განსვენებული ყველა ქართულ დაწესებულებას ეხმარებოდა და ამის საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. სულ ორი კვირა არ არის, რაც ტფილისის ქართულ გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ გრიგოლ ვოლსკი მიიწვია უფროს კლასებში ქართული ენის მასწავლებლად. განსვენებულს ორი ფაკულტეტი ჰქონდა გათავებული საექიმო და საფილოლოგო, ამასთან ქართული ენის მშვენიერი მცოდნე იყო.

როგორც კაცი, განსვენებული ყოვლად პატიოსანი და უანგარო ადამიანი იყო. მშვიდისა და უწყინარის ხასიათის პატრონი, იგი ყველას გულს იზიდავდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა (განსვენებული 47 წლისა იყო) და ჯან ღონით სავსე გრიგოლ ვოლსკის ასე ვერაგულად სიკვდილი ჰეშმარიტად დაალონებს და გულს მოუკლავს ყველას, ვინც-კი განსვენებულს იცნობდა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

### დაზარალებულთა სასარგებლოდ

კრების თანხმად, ბადახანა-საბუნხაში (ბაქ. გ.) შეგროვილი ფული დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოთ გაიგზავნა სამეგრელოში. შემომწირველთა სია:

ბ. გაგუას, ნ. მიქაძეს და ვ. ბოლქვაძეს მიერ შეგროვილი:

ბ. გაგუა 5 მ., ნ. მიქაძე 5 მ., ვ. ბოლქვაძე 5 მ., П. Федманъ 50 კ., კ. ჯაფარიძე 2 მ., მ. ტატიშვილი 1 მ., დათიკო 1 მ., ე. დიდებულიძე 2 მ., А. Литманъ 50 კ., ვ. სუფთაშვილი 3 მ., Дзухаевъ 1 მ., Г. Алимардановъ 1 მ., მ. თოფურიძე 3 მ., ი. ლორთქიფანიძე 50 კ., ს. დარცმელია 1 მ., დ. ბოკუჩავა 1 მ., ?. გაგუა 2 მ., Газарбекянцъ 2 р., З. Хеифецъ 1 р., კ. ნემსაძე 50 კ., ვ. ჯავახია 1 მ., Амирула Агаевъ 3 р., Е. Бирзнекъ 2 р., Нелѣнко 1 р., П. Наитаки 1 р., Кото 1 р., Карпуновъ 50 к., Стразденъ 1 р., პაპავა 1 მ., Алаверди 30 к., Мирза Ага Гафаровъ 1 р., В. Демуровъ 50 к., Али Сейбатъ 1 р., Г. Баткуновъ 3 р., Мурали фатали 50 к., С. Таварткиладзе 2 р., М. Драгнѣвичъ 3 р., Муромцевъ 2 р., М. Тхаржевскій 1 р., № 1 р., М. Медвѣдьевъ 1 р., Д. № 1 р., М. Парамоновъ 50 к., Ф. Ивановъ 1 р., Д. 1 р., И. 50 к., А. С. 2 р., Луса Луртузъ-Оглы 50 к., Ашимъ Магометъ Риза 1 р., С. Синицкій 3 р., А. Веисманъ 1 р., რ. გობაზაშვილი 50 კ., ი. გოდოლაძე 25 კ., ვ. აბარაშვილი 25 კ., ვ. ლომიძე 50 კ., ვ. გაპორაშვილი 40 კ., ტ. კუჩმაზაშვილი 25 კ., გ. მახარაძე 25 კ., კ. კიკნაძე 20 კ., ს. ბეცაძე 25 კ., გ. დარცმელია 25 კ., ბ. წერეთელი 20 კ., კ. ეფრემიძე 25 კ., გურასპაშვილი 20 კ., სტეფანოვი 50 კ., ნ. ხურბელაშვილი 20 კ., ტ. გოგიჩაიშვილი 20 კ., Г. Д. 2 р., ე. ლოციბაძე 30 კ., ე. კაზაშვილი 30 კ., ვ. ეჯოშვილი 2 მ., დ. შველიძე 50 კ., ვ. ჩიკვაიძე 2 მ.

შეგროვილი ა. ჯინორიძისა და ა. ჯავახიას მიერ:

ა. ჯინორიძე 5 მ., ა. ჯავახია 2 მ., ა. ვრონკი 1 მ., ე. რამიშვილი 1 მ., ზ. გოგლოევი 60 კ., თ. შველახოვი 50 კ., გ. ტიბილაშვილი 50 კ., Я. Звѣряевъ 1 р., ე. მხეიძე 2 მ., ა. მაჩიტაძე 2 მ., ა. კობზირიძე 2 მ., ვ. ნემსაძე 2 მ., ი. თოფურიძე 1 მ., ი. ტილასონია 1 მ., Калбасенко 1 р., Веренинъ 1 р., Мансуръ Турабъ 1 р., Кафаръ Турабъ 1 р., Азаханъ Маиедъ Гусеинъ 60 к., Мирасанъ Миръ Ибрагимъ Оглы 60 к., ე. დუმბაძე 1 მ., მ. გოგია 50 კ., Сеидъ Юнусъ 50 к.

შეგროვილი დაშარტევას და გიგინეიშვილის მიერ:

ვ. ნაჭყებია 3 მ., ა. გოგალიძე 1 მ., ვ. ამაშუკელი 50 კ., ტ. ტატრეიშვილი 50 კ., არჩუაძე 20 კ., ლ. გოცირიძე 30 კ., ტ. კალანდაძე 1 მ., ბაკოველი 30 კ., ე. მიმინოშვილი 50 კ., ს. კოჯაია 50 კ., გ. ნიკოლაიშვილი 50 კ., ა. კიკობიძე 50 კ., А. Герардъ 3 მ., პ. კახიძე 50 კ., ნ. ნიჟარაძე 1 მ., ა. ლომთათიძე 1 მ., პ. ამაშუკელი 40 კ., დ. გოგიტაძე 50 კ., ა. კედია 50 კ., А. Бухданъ 50 კ., ვ. ვასაძე 50 კ., Дудниковъ 50 კ., ვ. ელიოზოვ 1 მ, ფ. სტონჯოჩაშვილი 50 კ., ა. ლომთათიძე 2 მ., ა. ჯავარია 2 მ., Н. Алiевъ 1 მ., Естрашкинъ 50 კ., დ. კოზაძე 50 კ., ზ. ლომთათიძე 50 კ., დ. ნასარიძე 50 კ., Өонъ-Щадэ 1 მ., ხ. სკამკოჩაშვილი 3 მ., ი. გიგინეიშვილი 3 მ., ა. კვარცხალია 3 მ., ი. კოსტანტინოვი 1 მ., Т. Гребъ 25 კ., პ. კალანდაძე 50 კ., Л. Гамцемлидзе 2 მ., ნ. ქუთათელაძე 2 მ., ს. რაზმაძე 2 მ., გ. ჩანტურია 2 მ., ს. ლაპარტუავა 2 მ., შანიძე 50 კ., ე. ნასარია 50 კ., პ. კიკნაძე 50 კ., ე. ტვეშელაშვილი 1 მ., გ. კალანდაძე 50 კ., К. Клеманъ 1 მ., Калашниковъ 1 მ., А. Гребъ 1 მ., Ефимовъ 1 მ., Бупоевъ 50 კ., И. Болквадзе 50 კ., პ. წირღვავა 5 მ.

შეგროვილი გ. თელიასა და გ. ნიჟარაძის მიერ:

გ. თელია 3 მ., კ. მანჯგალაძე 1 მ., Хусейнъ мамедовъ 1 მ., Густавъ Виртъ 1 მ., გ. ნიჟარაძე 1 მ, Я. Лукинъ 50 კ., Ф. Эихгорнъ 1 მ., В. Вишневскій 1 მ., Д. Ебраилидзе 50 კ.,

შეგროვილი ი. ჭალიძისა და თელიას მიერ:

ი. ჭალიძე 5 მ., ნ. ქიზიყელი 1 მ., ა. ამირიძე 1 მ., Симона 1 მ., კ. ნუბარიძე 50 კ., გ. პეტრიაშვილი 50 კ.

შეგროვილი ს. ფარცხალაძის მიერ:

ს. ფარცხალაძე 3 მ., ს. ფირცხალავა 50 კ., ი. ცხვარიძე 50 კ., ს. გაბიჩვაძე 1 მ.

შემოწირულება გრძელდება.

კომისსიის მონდო ილებით **ზ. ხაცარიძე.**

## პროვინციის ცხოვრება

**კახეთი.** ხანგრძლივ გვალვის შემდეგ, როგორც იყო, ივლისის შუა რიცხვებში დაიწყო ავდარი და შემდეგ ნამიანი დღეებიც დაიჭირა. მართალია, გაზაფხულის ნათესობას ვეღარაფერს უშველის ავდარი, მაგრამ მაინც ჭირნახულს დიდად არგო, ნამეტნავად წელს სიმინდს და ვენახებს. გვალვამ ყურძენი მეტად შეაწუხა, უფრო [illegible] ვენახებში, შარდვადი [illegible] და ზოგ ადაგას მთაიშრუკა. ეხლა-კი თავის დროზე მოუვიდა წვიმა და თუ შემდეგაც ხელი შეუწყო, [illegible] უზრუნველყოფილი იქნება კახეთში.

სხვა ჭირნახულს [illegible], გვალვისა გამო საქონელი ძრიელ შეწუხდა უბალახობით. წელს საქონლის საკვები ძრიელ ნაკლებად მოვიდა. ეხლავე თივის ფასმა აიწია და ზამთარში ხომ ძრიელ დაძვირდება, მით უმეტეს სიმინდის ფუჩეჩიც ნაკლები იქნება.

ს. ყვარელში ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა, მდ. დურუჯის კალაპოტს ამაგრებენ, აშენებენ რამდენსამე დამბას. სწორედ ერთი წელიწადი გახდება აგვისტოში, რაც ეს მდინარე გადმოვარდა და ნახევარი სოფელი წაიღო. ნაპირების გამაგრება 40 ათას მანეთზე მეტი ჯდება, ამის ნახევარს თვით სოფელი კისრულობს. ნაწილი ფულისა უკვე შეკრიფეს. არის ოჯახი, რომელმაც 40—60 თუმნობით გაიღო. ოღონდ უზრუნველყოთ სოფელი დაღუპვისაგან და უკანასკნელ გროშს არ დავზოგავთო. ყვარელი ცოტა შეძლებული სოფელია, მამულიც საკმაო აქვს და მცხოვრებიც ქონებრივად მოსაზღვრე სოფლებთან შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან, თორემ ამოდენა ფულის გადახდას ვერ შესძლებდნენ, მერე ამისთანა დროში. მდინარის გამაგრებას ბევრი მუშა ხელი სჭირია, მთიულ-რაჭველნი ტფილისიდან ჩამოიყვანა ასამდე ქვის მთლელი, ხოლო ურმებს, უბრალო მუშებს ადგილებზე ამუშავებენ, თელავიდ ნაც ბევრია გამოსული.

კახეთში კაცის კვლა ისე გახშირდა, რომ ახალ ამბად აღარ ჩაითვლება. 23 ივლისს ს. ფშაველში ბრუნდებოდა თელავიდან ამ სოფლის გლეხი რამაზაშვილი; თელავს რომ გასცილებია, უსროლიათ თოფი და იქვე მოუკლავთ. რამაზაშვილი შეძლებული კაცი იყო და სოფელს დიდ დახმარებას უწევდა კაჭორვების დროს. ფშაველის ბოლოს დავამაც დიდი მონაწილეობა მიიღო, ფული არ დაზოგა და 400—500 დესეტინა სოფელმა მოიგო კიდეც. მკვლელობა პირად მტრობის მიზეზი უნდა იყოს.

**ეული.**

**ს. ბაღდადი.** მეტად გაჭიანურდა ბაღდადში სასოფლო ქსენონისთვის შენობის აგების საქმე. ჯერ იყო და ადგილის არჩევამ გამოიწვია (როგორც აქ სჩვევია) ინტრიგები და ჯიბრში ჩადგომა, რამაც თვალსაჩინოდ შეაფერხა და შეაგვიანა საქმე. ამას მოჰყვა რამდენჯერმე გეგმის შესწორება, რამაც აგრეთვე შეაფერხა საქმე. თუ გულითადი სიბეჯითე და მხნეობა არ გამოიჩინა ქსენონის საადმაშენებლო კომისიამ, ადვილი შესაძლებელია, საზოგადოებას დაეკარგოს ამდენიხნის ნადავიდარაბები. კომისიას დიდი პასუხსაგები საქმე აკისრა საზოგადოებამ და ისიც ვალდებულია თანხმობით

ნიალვარისა. საყოველთაო არჩევნები ნიშნავს პოლიტიკურ მონობიდან განთავისუფლებას, დემოკრატიული თანასწორობა ერებისა არის იგივე განთავისუფლება ათასნაირ უპირატესობისა და უსამართლობის უღლიდან.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ უეჭველად უნდა აღვიაროთ რომელიმე საზოგადოენი. ამ საკითხს რეალური ურთიერთობა თვითონ გადასწყვეტს (ტაშის დაკვრა).

სიტყვა ეკუთვნის ლემბერგის დელეგატს **განკევიჩს.** რუსინები ვეთანხმებით შეერთებულ კომიტეტის რეზოლიუციას, იმ პირობით კი, რომ ამოიშალოს მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ჩვენ თანახმა ვართ, რომ დანარჩენი რეზოლიუცია კომისიას გადაეცეს. იმ დებატებიდან, რომელიც გამართული იყო ჩეხურ პარტიულ გაზეთებში ეროვნულ საკითხის შესახებ, მე ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე: ეროვნული მშვიდობიანობა დამყარდება მხოლოდ ეროვნულ თანასწორობის შემდეგ. თუ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სოც.-დემოკრატიამ გაამხნევოს სუსტი ერების განვითარება, მაშინ ისიც საჭიროა, რომ ყოველმა ერმა თავის საქმეში სრულიად ავტონომიურად გადასწყვიტოს, რომ, თუ შეიძლება, ყოველ ერს ჰქონდეს საკუთარი ტერიტორია, სადაც მას, როგორც ავტონომიურ ერთეულსა და მთლიან სხეულს, შეეძლება საკუთარ ძალთა განვითარება. ამიტომ ჩვენ, რუსინელი სოც. დემოკრატები ამ აზრს ვადგევართ, რომ საჭიროა ავსტრიის დაყოფა ისეთ ავტონომიურ ეროვნულ ოლქებად, სადაც ყოველ ერს შეეძლება საკუთარ ბედ-იღბლის გადაწყვეტა. გარდა ამისა ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს ერს გარდა ეროვნულ თანასწორობის მოპოვებისა შეძლება მიეცეს უფრო მჭიდრო კავშირი შეჰკრას ჩვენი ხალხის უმრავლესობასთან, რომელიც აბსოლიუტიზმის უღლის ქვეშ კვნესის. რუსინთა სოც. დემოკრატიამ დამავალა შემდეგი განცხადება წავიკითხო:

„ჩვენ, რუსინთა სოციალ-დემოკრატები ვდგევართ ავსტრიის ყველა ერთა პროლეტარიატის ინტერნაციონალურ სოლიდარობის ნიადაგზე და გვწამს, რომ მხოლოდ სხვებთან ძმური კავშირით ჩვენი ხალხიც, რომლის ერთი ნაწილი ავსტრიას ეკუთვნის, მოახერხებს თავის განთავისუფლებას. მაგრამ ჩვენ არც ის გვავიწყდება, რომ ამ სახელმწიფოს საზღვრებში ცხოვრობს მხოლოდ ერთი ნაწილი ჩვენი ერისა, საზღვრების იქით კი ცხოვრობს დიდი უმეტესობა უკრაინის ერისა, რომელიც მოკლებულია ეროვნულ უფლებებს და ეროვნულ გადაშენებისა და სიკვდილის გზას ადგია. **ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინტერნაციონალური ძალა პროლეტარიატისა მხოლოდ მაშინ განვითარდება, როცა ყოველი ერი თვითონვე შეჰქმნის თავის ისტორიას.** ჩვენ **აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლება ეროვნულ განთავისუფლებასაც იგულისხმებს.** ამიტომ **რუსინთა სოც.-დემოკრატია ისწრაფვის მთელი თავის ერის განთავისუფლებისაკენ,** რათა განთავისუფლებული და შეერთებული რუსინთა ერი თანასწორ უფლებიანი წევრი გახდეს მთელი ქვეყნის ერებისა“.

**პერნერსტოფერი** (ვენა): რომ ავსტრიაში საცხოვრებლად უეჭველად საჭიროა ეროვნული პროგრამა. ამას ის გარემოებაც ცხადად ამტკიცებს, რომ ყველამ, ვინც კი დღეს ილაპარაკა, სახელმწიფო დიდის ზიზღით მოიხსენა. ერის სოციალისტური და დემოკრატიული ნაწილი აცხადებს, რომ მათთვის არსებული სახელმწიფოებრივი ფორმა არაფრად არა ღირს. აქედან ცხადად სჩანს, რომ ავსტრიის ერები მართლა გრძნობენ არსებულ ფორმების დანგრევის აუცილებლობას. აუცილებლად საჭიროა შევქმნათ ისეთი ფორმები, სადაც ჩვენი სახელმწიფოს მრავალ ერებს შეეძლებოდეთ თანხმობით ცხოვრება. ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ თუ ეროვნული საკითხი შესაფერად არ გადაწყდა, ჩვენ სახელმწიფოს აუმლელის ბედი მოელის. ჩვენი პარტიისთვის კი ასეთი ამბავი სასურველი და სასიამოვნო არ არის.

საკითხი ორად უნდა გავყოთ: საკითხი ეროვნული და საკითხა ენათა შესახებ. თუ საქმე მარტო ენათა ხმარების მოგვარებას შეეხება, ეს საქმე ბურჟუაზიულ პარტიებს დავუთმოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ, სოც. დემოკრატები ერთმანეთისას მალე გავიგებდით, ვინაიდან ჩვენ მოთხოვნილებათა თვალსაზრისზე დავდგებოდით. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტაც არ აკმაყოფილებს აქ გამოთქმულ ერთა სურვილებს.

ის საკითხი, რომელზედაც დღეს ლაპარაკი, ეროვნული საკითხია და არა ენათა შესახებ. აქ ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც ეროვნულ საკითხის გარჩევა „პროლეტარიატის კლასიურ შეგნების დაჩრდილვად“ მიაჩნიათ; ასეთ ამხანაგებს უნდა მოვაგონო, რომ ჩვენ გვქვიან სოც. დემოკრატიული პარტია. ამიტომ ჩვენ რომ მხარი არ მივცეთ დემოკრატიის ისეთ მოთხოვნას, რომელსაც მიზნად აქვს ყველას მოუპოვოს უფლება ეროვნულ არსებობისა, მაშინ ჩვენი პროგრამიდან უნდა ამოვშალოთ სიტყვა „დემოკრატიული“. როგორ უნდა იქმნეს უზრუნველყოფილი უფლება ეროვნულ არსებობისა? ენათა თანასწორობით მისი უზრუნველყოფა შეუძლებელია. მოგაგონებთ თუნდ ამერიკას, სადაც სავალდებულო არ არის სახელმწიფო ენის შესწავლა, მაგრამ ევროპიელ ემიგრანტთა დიდი უმრავლესობა ჰკარგავს თავის ეროვნულ თავისებურებას და ახალ სამშობლოში აჩენს ახალ ეროვნებას—იანკებს. არა მგონია, რომ ამ დარბაზში ისურვოს ვინმემ, რომ ავსტრიაში ასეთივე ამბავი მოხდეს და გაჩნდეს „ავსტრიის ეროვნება“. **ჩვენ გვსურს უზრუნველვყოთ ეროვნების არსებობა მის ტერიტორიაზე.** პირადად მე ვემხრობი სინოპტიკუსის თეორიას, რომელსაც ამხანაგი კრიშტოფიც მიემხრო. სამწუხაროდ, შეუძლებელია ამ ჟამად მისი განხორციელება. ეხლა საქმე იმაშია, რომ კომპრომისებით მოვძებნოთ ისეთი გზა, რომელიც უზრუნველჰყოფდეს ეროვნულ არსებობას; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ გზას ჩვენი რეზოლიუცია მოგვცემს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უწინარეს ყოვლისა ეროვნების არსებობა უნდა უზრუნველყოფილ და დაცულ იქმნას. ასეთი უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ გარკვეულ ეროვნულ ტერიტორიათა დაარსებით. ჩვენ, გერმანელებს, რასაკვირველია, ეს საჭიროდ არ მიგვაჩნია. მაგრამ, მაგალითად, ჩეხთა ეროვნებას სრულიად არა აქვს სახელმწიფო და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მათმა ბურჟუაზიულმა პარტიებმაც მოითხოვეს საკუთარი სახელმწიფო. ჩეხთა სოციალ-დემოკრატები დაინტერესებულნი არიან, რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც ისინი თავიანთ თავს ეროვნებად სთვლიან, რომ დაიარსონ საკუთარი სახელმწიფო. უკვე აღნიშნეს, რომ ამ სახელმწიფოს 5 მილიონი მოქალაქე ეყოლება. ასეთ სახელმწიფოში იმათ ვეღარავინ დასჩაგრავს. თუ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ, სადაც ყველა ერები ერთად მუშაობენ, ეროვნული საკითხი დემოკრატიულად ვერ გადასწყვიტა, სხვა რომელიღა პარტია მოახერხებს ამას ან ავსტრიაში, ან სხვაგან სადმე? ჩვენი პარტია დაინტერესებულია, რომ ერთა სოლიდარობას რეკლამა გაუკეთოს. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ვუთხრათ გაბატონებულ კლასებს: „თქვენ კი არა ხართ ეროვნება, არამედ ჩვენა ვართ“. მე მისაყვედურეს, ვითომ მე ორი დღის წინად კრებაზე მეტის-მეტად ეროვნულად, გერმანულად ვილაპარაკე, და ხუმრობით ცეცხლზე დაწვას დამპირდნენ. მაგრამ მე, როგორც შეგნებული გერმანელი, რეკლამას ვუკეთებდი ინტერნაციონალურ სოლიდარობას, და თუ ამისთვის ცეცხლზე დაწვას მპირობთ, გთხოვთ თან დაშინსკი და ნემეციც გამომაყოლოთ, რომ ჩვაკოკონა უფრო ინტერნაციონალური გამოვიდეს.

**ა.**

(შემდეგი იქნება).

და მტკიცე მოქმედებით და შორსთაქდ შეუსრულდა ნაკისრი საქმე.

ბადგადის მხარე ხუ-ტით ერთი უმდლესი მხარე ზედს ქვეყნისა, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგი ტყეები (ანაზღვებს ტყის „ფუკამთის“-ის კარგა) თითქმის მოისპო. სანამ ჯერი მოდგა მოსის და ბარში სახეხის ტყეების გაჩეხდურებაზე, თუ ადგილობრივმა საზოგადოებებმა ეყრადღება არ მიაქციეს ამ მოვლენას და რამეს დონე არ იმირს, ახლა მომავალში ბადგადა ეტეველ დარჩება, რისგა ბევრი ეზედურება მოვა.

ხანუშალდ ეჯალმეებს გამო გაჩერდა და დაეეგრანა სომხების დათესვა. ახლა კიდევ ხშირის წვიმებისაგან მეერ ადგეს დაზიანდება. საზოგადოდ კი სომხებს კარგი მარი ეწება.

22 ივლისს ქ-ნ დიდი თავისსიმია ქალთა სკოლი სასარგებლოდ ბადგადში გაიმართა სასახლე სცენისა და დიტხვეა-სადგურ. ამ შემთხვევისთვის მშვენიერად და სამაკულიდიად მორთეს სიმინ ყვავილების ეზოს, რომელიც თავიდან წარმოაქვე მდებარეობამ წარმოადგენს, მრავალი ხალხი მოვიდა როგორც ბადგადს, ისე ახლო-მახლო სოფლებიდან. აშკარა შემთხვევა მართლა იყო ბადგადში და არ შეგვეხდება, თუ ასეთი თანაგრძნობით შეეგებებოდა ხალხი. ეკონომია შეიძლე ნამმალე ღირს იმე საათამდე გასტანა.

მე.

## რუსეთი

✦ **გამარჯვა.** პარიზიდან იტყობინებიან, რომ ცენტრიდან გამარჯვნენ მუშათა დეპუტატების საბჭოს სამი წევრი—ავქსენტიევი, ვაინშტეინი და ზბოროვსკი ამ ქამდე პარიზში იმყოფებიან და ამზადებენ რევოლუციების და მოხსენებს შესახებ საბჭოს მოქმედებისა.

✦ **კომისია მამმადინთა შესახებ.** წრეულ წაფუულში მოწვეული იყო კომისია, რომელსაც მამმადინთა საკნველი ბლიბის შესახებ წესდება უნდა შეედგინა, მაგრამ მისი მოწვევა ხელმოჯრილ გადიდდა შეიდ-მედ. საქმე ისაშია, რომ 1906 წელს სამინისტრომ ნება დართო, რომ მამმადინთა სკოლებში სწავლა სამშობლო ენაზე ყოფილიყო, ხოლო ამ ბრძანების ძალა, რომ წერა-კითხვაში შემდეგი რუსულად ისწავლებოდეს. შემოეღე, მაგრამ ამ როგორც არ გაბიოდა და სკოლები დაკეტავდეს. შემოსვენებულ კომისიას ხელმოჯრილ უნდა გადაეწყვიტა ის (აქმე), მაგრამ მისი მოწვევა გადადვი და მამმადინთა ბავშვებს შეძლე სწავლა ხელდიდ უნდა დატყვებოდენ.

✦ **რუს. სოც.-დემ. კონფერენციამ** არჩევნების დროს კავშირის შესახებ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: არჩევნებ-ის პირველ საფეხურზე არავითარი ბლოკი არ შეიძლება; ხელმეორედ არჩევნების დროს ბლოკი შეიძლება კადეტებზე მარცხნივ მდგომ პარტიებთან, ხოლო არჩევნების მეორე საფეხურზე კადეტებთანაც შეიძლება ბლოკის შეკვრა.

✦ **დაპატიმრება.** 26 ივლისს პეტერბურგში მოხდა დელეგატთა კრება ლითონზე მომუშავე მუშათა კავშირისა. კრებას 60-მდე დელეგატი დაესწრო. პოლიციამ მთელი კრება დააპატიმრა.

მეორე დღეს პოლიციამ გაჩხრიკა ბინა მბეჭდავთა საზოგადოების გამგეობისა, წაიღო ყველა ქაღალდები და დააპატიმრა 50 კაცი: 8 წევრი კომისიისა და 13 წევრი გამგეობისა; დანარჩენები უცხონი იყვნენ.

იმავე დღეებში პოლიციამ დააპატიმრა ავტომობილით მიმავალი ოთხი უცნობი, რომელთაც იარაღი აღმოაჩნდათ. პოლიციის ცნობით უცნობნი სამხედრო მინისტრს უთვალთვალებდნენ.

✦ **კაპიტალისტების თხოვნა.** მექარხნეთა და ფაბრიკანტთა საზოგადოება სთხოვს მთავრობას, რომ 1) სიბერისა და ინვალიდობისაგან დაზღვევა შემოღებულ იქმნას მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საბოლოოდ შესდგება საამხანაგო ორგანიზაციები უბედურ შემთხვევებისაგან დასაზღვევად; 2) ნორმა უზრუნველყოფისა მრეწველთა ხარჯით არ უნდა აღემატებოდეს გერმანიაში არსებულ ნორმას; 3) დაბერების წლოვანება 60 წლის მაგივრად 70 წლამდის უნდა აიწიოს.

✦ **გენ. ალიხანოვისა და ყარანგოზოვის მკვლელები.** ჭეშმარიტ რუსთა ორგანო „რუსსკ. ზნამია“ იუწყება, რომ გენ. ალიხანოვი და ყარანგოზოვი მოკლეს .. კადეტებმა. ერევნის მოედნიდან 250000 მანეთიც თურმე კადეტებს გაუტაცნიათ.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### რუსეთში.

1 აგვისტო.

**ტულა.** გუბერნიის ცხრა მაზრაში უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საგლეხო ბანკმა შეიძინა 45 მამული, ზომით 4539 დესეტინა. 6, 157,007 მანეთად ღირებული. და ერთიც საუფლისწულო 1290 დესეტინა.

**პეტერბურგი.** სამარაში 29 ივლისს ხოლერით ავად გახდა 12 კაცი. სულ სენის გაჩენიდან 114 კაცი გახდა ავად. აქედან 28 გარდაიცვალა. ამათ გარდა 30 ივლისს საავადმყოფოში გარდაიცვალა ერთი კაცი სიზრანის მაზრის სოფ. როჟდესტვენსკიდან ჩამოსული. ხოლერის თავიდან ასაცილებლად და მასთან საბრძოლველად ქ. მიშკინსა და ყაზანში ზომებს იღებენ.

ლიფლიანდიის მაზრაში სეტყვამ გააფუჭა 950 დესეტინა ყანა.

**ნოვოჩერკასკი.** კავალნიცკის სტანიცის მახლობლად ოთხმა ცხენოსანმა გაძარცვა მღვდელი. მღვდელს და მეეტლეს ხელები შეუკრეს.

**კალუგა.** პერემიშლსკის მაზრის სამი სოფლის მცხოვრებლებმა 63,000 მანეთად იყიდეს 568 დესეტინა ადგილი. ეს მამულები საგლეხო ბანკმა იყიდა და გლეხებს გადასცა. გლეხებმა ზემოხსენებული თანხა 55 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ.

**პეტერბურგი.** 30 ივლისს ხელი მოაწერეს შემდეგის შინაარსის რუსეთ-იაპონიის კონვენციას: „რუსეთისა და იაპონიის მთავრობას, სურთ რა განამტკიცონ მშვიდობიანი და კეთილ-სინდისიერი ურთიერთობა, რაც საბედნიეროდ იქმნა აღდგენილი ორივე სახელმწიფოს შორის და რათა შემდეგისთვინაც ადგილი არა ჰქონდეს არავითარ უთანხმოებას, ორივე სახელმწიფო შეთანხმდა ამ ნაირად: 1. თითოეული მხარე პირობას სდებს პატივით მოეპყრას მეორე მხარეს, იცნოს ხელ-უხლებლად იმის უკვე არსებულ ტერრიტორიის მთლიანობა და ყველა უფლებანი, რაც გამომდინარეობს იმ ტრაქტატებისა, კონვენციებისა და კონტრაქტებისაგან, რომელიც მათ ჩინეთთან აქვთ დადებული. ასლი ამ ხელშეკრულებათა ორივე მხარემ ერთმანეთს გაუცვალა და შესრულებულ უნდა იქმნას იმის და გვარად, რამდენად ეს შეესაბამება 1905 წლის 23 აგვისტოს პორსმუტის ხელ-შეკრულების პრინციპებს და რუსეთ-იაპონიის შორის დადებულ სპეციალურ ხელ-შეკრულებას. 2. ორივე მხარე სცნობს ჩინეთის იმპერიის ტერიტორიის ხელ-შეუხებლობას, ამ იმპერიაში საზოგადო თანასწორ-უფლებების პრინციპს ვაჭრობა-მრეწველობაში ყველა ერისათვის. პირობას სდებენ, რომ ყოველ-გვარ მშვიდობიანის საშუალებით დაიცვან „სტატუს ქვო“ ამ იმპერიაში.

31 ივლისს ქალაქის საზოგადოებათა და კავშირთა საკრებულომ განიხილა ლიტოგრაფიის მუშების საჩივარი პეტერბურგის გრადონაჩალნიკისადმი და დაადგინა, ლიტოგრაფიებში მომუშავეთა საზოგადოება დახურულ იქმნას. მუშები ჩიოდნენ გრადონაჩალნიკთან, რომ საზოგადოების წევრი მუშები ძალას გვატანენ და თუ განვაცხადეთ, სიკვდილს გვემუქრებიანო.

**რიგა.** დიდ-სობორნი ქუჩაზე ერთ სახლის სხვენში იპოვნეს 10,000-დე სარევოლიუციო შინაარსის ბროშიურა პროკლამაციები.

**პენზა.** მოკშანის მაზრის ლომოვსკის სოფ. სასამართლოს შეიარაღებული კაცები დაეცნენ და ფული მოითხოვეს. როცა უარი მიიღეს სოფლის მწერალი მოჰკლეს.

**პეტერბურგი.** მიწათ-მოქმედების მთავარსამართველოს უფროსის ამხანაგი ნიკიტინი თავისავე სურვილით სამსახურიდან გადადგა.

შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს: ასტრახანში 28-დან 30 ივლისამდე ხოლერით ავად გახდა 7 კაცი. 5 ივლისს ავად გახდა 5 კაცი; ორი გარდაიცვალა. სიმბირსკის გუბერნიაში ორი კაცი გახდა ავად: ერთი 27 ივლისს ტივზე ნავთსადგურში, მეორე 30 ივლისს მოსკოვ-სიზრანის რკინის გზის მატარებელში.

**ხარკოვი.** ოლქის სასამართლომ გაფიცვისთვის მიუსაჯა: ოთხ გლეხს—ორი თვით საპყრობილე, სამს—სამი კვირით პოლიციასთან დაპატიმრება, ხოლო ერთს—15 დღით დაპატიმრება.

რკინის გზის მე-935 ვერსზე უცნობებმა რევოლვერით მძიმედ დასჭრეს ჟანდარმი და მოჰკლეს მისი შვილი.

**ნოვოჩერკასკი.** დილით უცნობებმა მოჰკლეს რკინის გზის ორი დარაჯი.

**ჩერნიგოვი.** დაბა ვერკიევკაში გზად მიმავალ სტრაჟნიკებს სროლა აუტეხეს. სტრაჟნიკებმა მოჰკლეს ერთი თავდამსხმელი, მეორე შეიპყრეს, მესამე მიიმალა. ერთი სტრაჟნიკი დაიჭრა.

**მოსკოვი.** მოვიდნენ პეკინიდან ავტომობილებით წამოსული ორი ფრანგი და ერთი ჰოლანდიელი.

**ლოძი.** აზელინის ქუჩაზე სარძევეში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს სასტუმროს მოსამსახურე.

შეიპყრეს რვა ტერორისტი. ჰბრალდებათ პოლიციელების მოკვლის განზრახვა, სახლის პატრონის, მეეზოვის და ჟანდარმის უნტერ-აფიცრის მოკვლა და შეიარაღებული თავდასხმა სამ მგზავრზე, რომლის დროსაც სამივე მძიმედ დაიჭრა.

1 აგვისტო.

### უცხოეთი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში მთავრობას რამდენჯერმე შეეკითხნენ ბელფასტის არეულობის შესახებ, მუშათა პარტიის წევრმა კერრანმა განაცხადა: გაფიცულები, რომლის პარტიას მეც ვეკუთვნი, რიგიანად იქცეოდნენო, ამასთან სთხოვა მთავრობას, დააჯერეთ სამუშაოს მიმცემნი, რომ საქმე სამედიატორო სამართალს გადასცენო. კერრანის სიტყვა პალატას მოეწონა. მინისტრმა ბირჩელმა განაცხადა: მთავრობა ჰგრძნობს საქმის სიდიადეს. ცნობები მივიღეთ, რომ მუშათა კავშირები მზად არიან საქმე სამედიატორო სასამართლოს გადასცენ. იმედი უნდა ვიქონიოთ მოლაპარაკება, რომელიც გამართულია, საქმეს სასურველ ბოლომდე მიიყვანსო. მინისტრიც დაეთანხმა ამ ცნობას, რომ არეულობა უბრალო ქუჩის ბრბომ მოახდინა და არა გაფიცულებმაო. ლიბერალმა მაკხგამმა მთავრობის ყურადღება მიაქცია სოციალისტის გრეისონის მკაცრ სიტყვას, რომელიც გრეისონმა გუდერსფილდში წარმოსთქვა. მინისტრმა უპასუხა, ამ მომენტში გრეისონის სიტყვა ყურადღების ღირსადაც არა ღირს და ბელფასტლებზედაც იმის სიტყვას არავითარი გავლენა არ მოუხდენიაო.

**ბელფასტი.** ჯარი და პოლიცია გაიყვანეს იმ ადგილიდან, სადაც არეულობა მოხდა. საღამოზე პარლამენტის წევრები და მღვდლები დადიოდნენ ქუჩებში და ხალხს ამშვიდებდნენ. რვა საათამდე მყუდროება იყო.

2 აგვისტო.

**ვილჰელმსჰევე.** ინგლისის მეფე ედუარდი მოვიდა ნაშუადღევის პირველ საათსა და 15 წუთზე; სადგურზე ვილჰელმი დაუხვდა. მეფეებმა სალამის შემდეგ ერთმანეთს მხლებლები გააცნეს და ეტლით ვილჰელმსჰეეს სასახლისკენ გაემართნენ.

**კემბრიჯი** 30 ივლისს დაიწყო მესამე საერთაშორისო კონგრესი ესპერანტისტებისა. თავმჯდომარედ აირჩიეს ესპერანტოს ენის მომგონი რუსი ექიმი ზამენგოფი. კონგრესებზე გამოცხადდა 28 სხვა და სხვა ერის წარმომადგენელი, 2000-მდე დელეგატი. მეფე ედუარდმა კონგრესს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

**მადრიდი.** კაზაბლანკიდან იუწყებიან: კრეისერ „გლუარი“-დან გასროლილი სადინამიტო გრანატა უცაბედად აფეთქდა ესპანელების საკონონერო გემის მახლობლად. კანონერკის ერთი ნავი ჩაიძირა. ნავში მსხდომნი გადაარჩინეს.

**როშფორი.** ლეკოკს 4 თვით სატუსაღოში ჯდომა მიუსაჯეს. ლეკოკმა 29 ივლისს განიზრახა სამხედრო მინისტრის პიკარის მოქმედებით შეურაცყოფა.

**თეირანი.** მეჯლისმა თანხმობა განაცხადა, მოწვეულ იქმნას საქმის მცოდნე უცხოელი საერო ბანკის მოსაწყობად. ფინანსთა მინისტრმა სამსახურს თავი დაანება.

**სტამბოლი.** ოსმალურ გაზეთების სიტყვით, ბერძენთა მიტროპოლიტის ფლონირეს მდივანს 29 ივლისს ქუჩაში მოუკლავს ბოლგარელი მღვდელი. მკვლელი გაიქცა, მაგრამ დაედევნენ და მოჰკლეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**


## განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება

ა. საკუელისა

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.

წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—15)

საგლეხო გაზეთი

„მიწა“

ხელ-ახლა გამოვა ამა წლის პირველ სექტემბრიდან— ძველ პროგრამითა და მიმართულებით, როგორც გამოდიოდა.

წლისა და ნახევარი წლის ხელის-მომწერლებს ამ მოკლე ხანში დაურიგდებათ ორი წიგნაკი: 1) „შიმშილი“, ბახისა, „გუთნის“ გამოცემა (114 გვ.) და 2 „ვინ რისთვის იბრძვის“, პარტიები და მათი პროგრამები, შედგენილი „მიწის“ რედაქციის მიერ (48 გვ.)

ფოსტის ადრესი დროებით: წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია. Тифлисъ. Книжный магазинъ Общества Грамотности. (3—უ—2)

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

ლ. შტრეიხერისა

**კბილის ხაექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე

ფასი მკურნალობისა:

| | | |
|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | | 50 0 |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. | |
| „ „ მეტალიური | 1 „ | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ემალისა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ | |
| „ „ კრამპონისა | 1 „ | 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | |
| „ „ თითო კავი | 1 „ | |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ | |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | |

(100—ბუხ.—29)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირაობის გარდა.

დილით:

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ტ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გედევანიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

საღამოთი:

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (150—ხალ.—129)

ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა

## წინამძღოლისგან.

სახელმწიფო საბჭოს 1895 წ. 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ აზრის ძალით შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ დაუბრუნდეს ბანკის დასაარსებლად შეტანილი თანხა, და ფინანსთა მინისტრის მიერ 1900 წ. 8 მაისს დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ის პირი, რომელსაც გადაეცა გადასაცემ წარწერით კვიტანცია შესახებ იმისა, რომ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად თავ. **ზაალ და იოსებ ივანეს ძე ვაჩნაძეებმა** შეიტანეს ორას ოცდა ათი (230) მან., მოვალეა წარუდგინოს იგი ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭვდის დღიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში კვიტანციის პატრონი სამუდამოდ დაჰკარგავს ამ ფულის აღების უფლებას, რომელიც გადაეცემა თავ. ვაჩნაძეთა მემკვიდრეთ. (3—ნ.—2)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

## „დროების კალენდარი“

დამდეგი 1908 წლისათვის.

**„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს“ იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

## კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელზე თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში“ დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**

დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის“** გამომცემელს.

## ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—88)